ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია „ქართული ოცნების"თავმჯდომარის,
მარეხ ნიჟარაძის 2023 წლის (ნოემბრის თვიდან 2024 წლის ნოემბრის თვემდე)
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრს და ამავდროულად ფრაქცია" ქართული ოცნების" თავმჯდომარეს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე მავალდებულებს ანგარიში წარმოვადგინო 2024 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ. ყოველდღიურად მაქვს ორგანიზებული შეხვედრა მოსახლეობასთან,რაც საშუალებას მაძლევს მოსახლეობას მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოსა და ფრაქციის საქმიანობის შესახებ.ასევე ხშირია გასვლები უბნებსა და სკვერებში ,სადაც შესაძლებელია მიმდინარე სამუშაოების კონტროლი,ადგილზე მოსახლეობის პრობლემის,მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა.ამ სახის შეხვედრების დროს მოსახლეობა ითხოვს სხვადასხვა სახის დახმარებას და იკვეთება არაერთი პრობლემა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით,საკრებულოს თითოეულ წევრთან გუნდური მუშაობით,აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინებული ურთიერთობით ,ფრაქცია ორიენტირებულია ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაზე ,რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ადგილობრივ საჭიროებებთან და ხელს შეუწყობს ქალაქის კეთილდღეობას და წინსვლას. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

საანგარიშო პერიოდში მიღებულია 143 მოქალაქე,ისინი მოგვმართავენ სხადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით.მათზე,როგორც ჩვენი მხრიდან ხდება მყისიერი რეაგირება.მათი პრობლემის უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად,ნაწილი კი მოგვარების პროცესშია.ყოველთვის ვცდილობ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და ვეძიო გზები მოგვარებისთვის.

აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სპორტის კომისიის) სხდომებში. ამასთანავე ვარ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

- საკრებულოს,საკრებულოს ბიუროს 12 რიგით და 4 რიგგარეშე სხდომა
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომა განხილული იქნა 25 საკითხი
- საკრებულოს კულტურის,განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სპორტის კომისიის 6 სხდომა განხილული იქნა 6 საკითხი
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა და სამუშაო შეხვედრა 7 .

აღსანიშნავია,რომ ფრაქცია ატიურად იყენებს საზედამხედველო ფუნქციებს და ყურადღბას უთმობს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდეობის.პირთა მიერ

ანგარიშების მოსმენას. გამომდინარე აქედან საანგარიშო პერიოდში ,ფრაქციამ მოისმინა შემდეგი თანამდებობის პირების ანგარიშები,კერძოდ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი,ბატონი ანტონ ჩიხლაძე.

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დავით ნიშნიანიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი,თინათინ ბეროშვილი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი თენგიზ არსენიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ ''ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი მალხაზ ბასილაძე.

ქალაქ ქუთისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დემურ ინანეიშვილი.

შპს ''ქუთაისისსატრასპორტო კომპანიის ''დირექტორი ბატონი ირაკლი ცხვედიანი

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ,,ქართული ოცნებას'' ჩატარებული აქვს ფრაქციის 10 სხდომა,რომელზეც განხილული იქნა 14 საკითხი

ფრაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და შესრულების კონტროლს. აქვე მინდა მოგახსენოთ რამოდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე,რომელიც ჩვენს ქალაქში მიმდინარე წელს განხორციელდა.

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები: (სულ 23ერთეული).

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:(სულ 11 ერთეული).

საყრდენი კედლების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები(სულ 8 ერთეული).

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები: (სულ 8 ერთული)

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:(სულ 4 ერთეული)

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია: (სულ 4 ერთეული)

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია: (სულ 16 ერთეული)

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება: (სულ 7 ერთული)

სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილიობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია: (სულ 4ერთეული)

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება: (4 ერთული)

მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა :(სულ 7 ერთული)

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების პროგრამა :(სულ 34 ერთეული)

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია :(სულ 13 ერთეული)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია :(სულ 17 ერთული)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია :(30 ერთეული)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია :(სულ 64 ერთული)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება:(სულ7 ერთული)

გადასახური მასალა შესყიდვა-გადაცემა

ჰიდროსაიზოლაციო - 66200 კვ. მ

გოფრირებული თუნუქი - 7800 კვ. მ

ფურცლოვანი თუნუქი - 3200 კვ. მ

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა :(სულ 42 ერთული)

სტიქიის გადასახური მასალა

ჰიდროსაიზოლაციო მასალა - 4930 კვ. მ

გაიცა ფურცლოვანი თუნუქი - 250 კვ. მ

გაიცა ხის მასალა - 12,2 კბ. მ

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძებაში ვღებულობ მონაწილეობას ,ვხვდები არასამთავრობო ორგანიზაციებს, მონაწილეობას ვიღებ მათ მიერ დაგეგმილ ტრენინგებში ,ხშირად მიწევს ქალაქის ადგილობრივ ტელეკომპანიების გადაცემაში მონაწილეობის მიღება და ინტერვიუები,ასევე ვარ საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი,როგორც ავღნიშნე ინტენსიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს,მე, როგორც საკრებულოს წევრი და ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარე ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ჩემი მთავარი პრიორიტეტი იქნება, იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება,რომელიც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.

ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაა, ქალაქის თვითმმართველობის მიერ განსახორციებელ საქმიანობაში.ასევე ,მაქსიმალურად ვეცდები პრიოერიტეტების იდენტიფიცირებას მოქალაქეებთან ერთად.მე მჯერა,რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იქნება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარე

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე